



ევროკავშირის შეთანხმება
ღრმა და ყოვლისმომცველი
თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ
და საქართველო





ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო

კვლევა მომზადებული ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“, შიდა პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმების შესაძლებლობათა გაზრდა“, ფარგლებში. პროექტი დაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ავტორების მიერ წინამდებარე კვლევაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევო

შესავალი	5
სავაჭრო ბარიერები	7
საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო რეჟიმები	8
საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული სავაჭრო ტენდენციები	12
დასკვნები და რეკომენდაციები	20

შესავალი

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ნ-ჯერ გაიზარდა. აღნიშნული ზრდა განპირობებულია საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული ლიბერალური სავაჭრო რეჟიმით: დაბალი ტარიფები იმპორტზე, ექსპორტზე/იპორტზე ლიცენზიების და ნებართვების მცირე რაოდენობა, იმპორტზე/ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობა, ექსპორტზე/რეექსპორტზე საბაჟო ტარიფების არარსებობა, ექსპორტზე დამატებითი ღირებულების გადასახადის არარსებობა და სავაჭრო პროცედურების გამარტივება¹. თუმცა, შედეგად, ლიბერალურმა სავაჭრო რეჟიმმა უფრო მეტად იმპორტის ზრდა გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, სავაჭრო ბალანსში რეკორდულად მზარდი დეფიციტი განაპირობა და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები დააფიქრა. უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტსა და ექსპორტს შორის არსებული სხვაობა, მათი მზარდი მაჩვენებლების ფონზე, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თანდათანობით მცირდება. 2013 წლის მდგომარეობით, ექსპორტმა მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 36% შეადგინა.²

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების გზაზეა. 1997 წლიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სარგებლობამ, რასაც მოგვიანებით GSP + სავაჭრო რეჟიმები დაემატა, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი ვახდა საგარეო ვაჭრობის პირობები და წახალისა ექსპორტის ზრდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის მთლიანი მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედების შემდეგ 2009 წელს ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალ ფაზაში შევიდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავებას სამი ძირითადი მიმართულებით – ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც, ასევე, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) და ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებები.

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 30%-ს, ხოლო ექსპორტისა – 20%-ს შეადგენს, რაც მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს განაპირობებს. სხვა (ძირითადად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი) ქვეყნებისგან განსხვავებით, ვაჭრობის, განსაკუთრებით კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ხელისშემშლელი ფაქტორებია, ერთი მხრივ, მაღალი ტარიფები, ხოლო, მეორე მხრივ, არასატარიფო ღონისძიებებით გამოწვეული დაბრკოლებები. ამ კონტექსტში, 2013 წლის ნოემბერში ასოცირების შეთანხმების პარაფირება, როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირების პირველი ნაბიჯი, ხოლო მეორე მხრივ, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებს სავაჭრო ბარიერებს ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს, როგორც საგარეო ვაჭრობის მომდევნო დივერსიფიცირებისა და განვითარების, ასევე ვაჭრობის შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდის თვალსაზრისით. წინასწარი გამოთვლებით, DCFTA-ს ამოქმედების შედეგად გენერირებული ეკონომიკური სარგებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 6,5%-მდე გაზრდას გამოიწვევს. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის

1 www.tradewithgeorgia.com

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საგარეო ვაჭრობა. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=136&lang=geo

მოცულობა 13.5%-ით გაიზარდა. ყველაზე მაღალი - 55%-ით - ნავარაუდევია ტექსტილის წარმოების ზრდა, ხოლო ხილის, ბოსტნეულის, კვების პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ზრდა ნავარაუდევია 4%-ით.³ უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ზაფხულში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ აუცილებელია შეთანხმების რატიფიცირება ევროპის ყველა წევრი ქვეყნის მიერ, რაც საკმაოდ დროს მოითხოვს. აღნიშნულ რატიფიცირებამდე ამოქმედდება შეთანხმების გარდამავალი დებულებები. DCFTA საბოლოოდ ჩაანაცვლებს GSP + პრეფერენციათა სისტემას, თუმცა, გარდამავალ პერიოდში, პირველი ორი წლის განმავლობაში, ეს ორი რეჟიმი ერთდროულად იქნება ძალაში.⁴

წინამდებარე კვლევის მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის შემუშავებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გავლენის შეფასება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაზე, რაც განპირობებულია აღნიშნული სფეროს განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით ქვეყნისთვის. 2013 წლისთვის მოსახლეობის დაახლოებით 50% სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული (უმეტესად თვითდასაქმებული); საქართველოს მთავრობამ გაზარდა საბიუჯეტო დანახარჯები ამ სექტორში, არსებული პოტენციალის უკეთეს გამოყენებად და სოფლის მეურნეობაში საქართველოს კონკურენტული უპირატესობის გამოსაყენებლად. წინამდებარე კვლევის შედეგად გაანალიზდება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ექსპორტის ტენდენციები; შესწავლილი იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით (პირველადი და გადამუშავებული) ვაჭრობის ტენდენციები; წარმოდგენილი იქნება აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის დამატებითი ფაქტორების ანალიზი არსებული ტარიფებისა და არასატარიფო სავაჭრო ბარიერების გათვალისწინებით; მოცემული იქნება ინფორმაცია სავაჭრო პირობების შესახებ DCFTA-ს კონტექსტში, რაც ავტორებს საშუალებას მისცემს, გაანალიზონ საქართველოს სავაჭრო პოტენციალის განვითარების შესაძლებლობები აგროსასურსათო პროდუქციის ტერიტორიაში. დაბოლოს, კვლევის შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები პოლიტიკის შემუშავებლებისთვის, თუ რა გზებით შეუძლიათ მათ გაზარდონ სარგებელი და შეამცირონ რისკები შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ.

3 Ecorys. ვაჭრობის მდგრადობის ზეგავლენის შეფასება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებათა წარმართვის მხარდაჭერის მიზნით ევროკავშირს, საქართველოსა და მოლდოვას შორის, 2012 წ. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2012/november/tradoc_150105.pdf. Prospects of DCFTA between Georgia and the EU. www.easternpartnership.org

4 პირადი კომუნიკაცია საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის სავაჭრო ატაშესთან - ანტონიო ლო პარკოსთან, 21 მარტი 2014 წ.

სავაჭრო ბარიერები

ვაჭრობის დამაბრკოლებელი ყველაზე გავრცელებული ბარიერია ე.წ. გადასახადი იმპორტზე – **ტარიფი**. “ტარიფები უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივად წარმოებულ საქონელს ანალოგიურ იმპორტირებულ საქონელთან შედარებით და შესაბამისად, წარმოადგენს შემოსავლის ზრდის წყაროს ქვეყნებისთვის”.⁵ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო) ცდილობს, ნულამდე დაიყვანოს აღნიშნული ტარიფები. ურუგვაის რაუნდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, ვინაიდან, შედეგად, ქვეყნებმა დაადასტურეს, რომ შეამცირებენ ტარიფებს და დასწევნ საბაჟო გადასახადებს იმ ნიშნულამდე, რომლიდანაც მათი კვლავ გაზრდა რთული იქნება. ტარიფები შეიძლება დაწესდეს ასევე იმ კონკრეტულ რაოდენობებზე, რომლებიც სცდება დადგენილ კვოტას (ე.წ. სატარიფო კვოტა).

მსო-ს პრინციპების თანახმად, წევრ ქვეყნებს ეკრძალება შერჩევითი მიდგომის გამოყენება სავაჭრო პარტნიორების მიმართ და რომელიმე მათგანისთვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება, ამ ქვეყნიდან საქონლის იმპორტზე დაბალი ტარიფების მინიჭების გზით. ეს პრინციპი ცნობილია, როგორც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) და წარმოადგენს DCFTA-ს განუყოფელი ნაწილის – ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT)-ის ნაწილს. თუმცა, ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადების შემთხვევაში ამგვარი შერჩევა ახსნადია. აღნიშნულ შეთანხმებათა მიხედვით, ქვეყნებმა, შესაძლოა, უპირატესობა მიანიჭონ კონკრეტულ ქვეყნებს თავიანთ ბაზრებზე დაშვებისას, ან დააწესონ ბარიერები იმ პროდუქტების მიმართ, რომელთა იმპორტიც კონკრეტული ქვეყნიდან, სავარაუდოდ, არასამართლიანად ხორციელდება.

ზემოთ აღნიშნული ბარიერების გარდა, არსებობს აგრეთვე რიგი ე.წ. ტექნიკური სავაჭრო ბარიერებისა (TBT), როგორცაა ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები, გეოგრაფიული აღნიშვნები და სერტიფიცირების პროცედურები. ეს ბარიერები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ნაკლებად გამჭვირვალე და თვალსაჩინოა სატარიფო ბარიერებთან შედარებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აგროსასურსათო პროდუქტებს ეხება, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ წინასწარ შემუშავებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, რომლებიც არცთუ იშვიათად გვევლინება, როგორც დაბრკოლება აღნიშნული პროდუქტებით ვაჭრობისას. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც მომხმარებელთა დაცვის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველოში საერთაშორისო სერტიფიკატი მხოლოდ რამდენიმე დასახელების საწყის და საბოლოო აგროსასურსათო პროდუქტზე გაიცემა, ხოლო სარეალიზაციოდ განკუთვნილი კვების პროდუქტების ხარისხი და უვნებლობა მრავალ კითხვას ბადებს.⁶ თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველოს კანონმდებლობა სრულიად ჰარმონიზებულ იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ტექნიკური სავაჭრო ბარიერები (TBT) ასევე გაუქმდება. რასაკვირველია, ეს პერსპექტივა დროის ხანგრძლივ პერიოდთან ასოცირდება. ნაციონალური კანონმდებლობებისა და პრაქტიკის დაახლოება TBT-სა და სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების შესახებ შეთანხმების (SPS) სფეროებში ყველაზე მეტად აუცილებელი და ამავდროულად, ძვირადღირებული პროცესია. ამ პროცესს ქართული მხარის მნიშვნელოვანი ძალისხმევა სჭირდება, ამ მიმართულებით მოსალოდნელია ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდანაც.

5 მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია (WTO). http://www.wto.org/english/tratop_e/tariffs_e/tariffs_e.htm

6 სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის მაგალითები: საქართველო, სომხეთი და მოლდოვა, 2013 წ. <http://www.fao.org/docrep/018/ar424e/ar424e.pdf>

საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო რეჟიმები

როგორც მსო-ს წევრები, საქართველო და ევროკავშირი იყენებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით დადგენილ სატარიფო განაკვეთს. მეტიც, GSP+ რეჟიმი ვრცელდება ევროკავშირის საბაჟო სატარიფო კოდით აღნიშნულ, პროდუქტების დაახლოებით 66%-ზე; შესაბამისად, აღნიშნული რეჟიმი უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ წვდომას, ძირითადად, საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებას ქართული წარმოშობის დაახლოებით 7.200-ზე მეტი სახეობის პროდუქტისთვის.⁷ აღნიშნული უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმის ძირითადი მიზანია განვითარებადი ქვეყნების დახმარება მათი მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმის შედეგად გენერირებული დამატებითი შემოსავლების გზით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის პროდუქტები, რომელთა მოძრაობა საზღვარზე მხოლოდ საბაჟო გადასახადის გამო ფერხდება, ძირითადად არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებია. რამდენიმე მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომლებმაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო მაჩვენებლების ზრდა განაპირობა, ესაა - კაკალი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე (0802 90 85), გამხმარი ხილი (0813 40 95)⁸. ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციების გამოყენების შეფასების მიხედვით 2010 წლის მდგომარებით, საქართველოს პრეფერენციების გამოყენების ძალიან მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა (92.52%); რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ტვირთბრუნვის 90%-ზე მეტი ნულოვანი ტარიფით განხორციელდა.⁹ ყველა დანარჩენი პროდუქტისთვის კი ad volarem (ღირებულების შესაბამისად) დადგენილი გადასახადები შემცირდა 3.5%-ით.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რატიფიცირების შემდგომ GSP+ რეჟიმი გაუქმდება და ჩანაცვლდება DCFTA-ით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ბარიერების ორმხრივ და ეტაპობრივ გაუქმებას. საქართველოს თავისუფალი წვდომა ბაზარზე იქნება „ყოვლისმომცველი“, ვინაიდან იგი მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს და „ღრმა“, ვინაიდან გამიზნულია ყველა სავაჭრო ბარიერის მოსახსნელად „საზღვრის მიღმა“ ბარიერების ჩათვლით¹⁰. შეთანხმება ითვალისწინებს 95%-მდე ტარიფის მოხსნას, ნავარაუდევია სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობას, ამ სფეროს ასევე შეეხება მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია, რიგი გამონაკლისის გარდა.

DCFTA-ს მიხედვით, საქართველოდან იმპორტირებულ საქონელზე გაუქმდება ყველა სახის საბაჟო გადასახადი, გარდა შეთანხმების მეორე დანართში ჩამოთვლილი საქონლისა¹¹, რაც შეზღუდავს ტარიფის განაკვეთის კვოტებს. თუმცა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით გათვალისწინებულ

7 ევროკომისია. ახალი გენერალიზებული პრეფერენციათა სისტემით განსაზღვრული სავაჭრო რეჟიმების პრაქტიკული სახელმძღვანელო განვითარებადი ქვეყნებისთვის. 2013 წლის დეკემბერი. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2013/december/tradoc_152012.pdf

8 ევროკავშირის რეგულაცია # 978/2012, ევროპარლამენტი და ევროსაბჭო, 2012 წლის 25 ოქტომბერი. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2012/october/tradoc_150025.pdf

9 ევროკავშირის გენერალიზებული პრეფერენციათა სისტემის შუალედური შეფასება, 2010 წ. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2010/may/tradoc_146195.pdf

10 საქართველო: გზა DCFTA-სკენ http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eu_georgia/dcfta2012_01_en.pdf

11 ევროკავშირის-საქართველოს ასოცირების შეთანხმება. თავი IV. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. http://eeas.europa.eu/georgia/assogreement/pdf/ge-aa-title-iv-trade-related-matters_en.pdf

საბაჟო გადასახადს დაექვემდებარება ყველა იმპორტირებული საქონელი, რომლებიც ტარიფის განაკვეთის ზღვარს აღემატება. გამონაკლისს წარმოადგენს იმპორტირებულ საქონელზე ad valorem (ღირებულების შესაბამისად) გადასახადის კომპონენტი. დანართში #2 ჩამოთვლილ საქონელზე ასევე ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო (anti-circumvention) მექანიზმი; რაც ნიშნავს, რომ როგორც კი დანართში მითითებული საქონლის ერთი ან მეტი კატეგორიის იმპორტი მიაღწევს დანართში II-გ მითითებული მთლიანი რაოდენობის 70%-ს, ევროკავშირი საქართველოს გაუგზავნის შეტყობინებას ამ კონკრეტული პროდუქციის იმპორტის რაოდენობის შესახებ. აღნიშნული შეტყობინების მიღებისა და პროდუქციის მოცულობის 80%-მდე გაზრდის შემდგომ საქართველო ვალდებულია, ევროკავშირს მიაწოდოს სარწმუნო დასაბუთება იმისა, რომ ქვეყანას შეუძლია დაამზადოს აღნიშნული საქონელი დამატებითი მოცულობებით ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტოდ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ვერ წარადგენს აღნიშნულ დასაბუთებას, ევროკავშირი სარგებლობს უფლებით, დროებით შეაჩეროს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს ნ თვის განმავლობაში და მოიხსნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო საკმარის მტკიცებულებებს მოიყვანს იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული პროდუქტის მოცულობა გაიზარდა წარმოების პროცესში შეტანილი ცვლილებების გამო, რამაც გაზარდა ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები. აღნიშნული მტკიცებულების წარდგენასთან ერთად შეთანხმების დანართში 2 შესაძლოა, შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება.

ამდენად, შეთანხმება ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის სამი ტიპის გამონაკლისს: 1) თავისუფალი ვაჭრობა სატარიფო განაკვეთების კვოტების ფარგლებში. ამ კატეგორიაში შედის ერთადერთი პროდუქტი - ნიორი, ახალი ან გაცივებული.

კოდი	პროდუქტის აღწერილობა	რაოდენობა	2013 წ. საქართველოს ექსპორტი ყველა ქვეყანაში (ტონა)	2013 წ. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (ტონა)
07032000	ნიორი, ახალი ან გაცივებული	220 ტონა	400	0

2013 წელს საქართველოს ზემოთ აღნიშნული კატეგორიის არც ერთი პროდუქტი არ შეუტანია ევროკავშირში. თუმცა, გასულ წელს სომხეთში იმპორტირებულ იქნა 400 ტონა ნიორი, რაც ნიშნავს, რომ 220 ტონა წარმოადგენს ზღვრულ ნიშნულს, რომლის შენარჩუნება გართულდება. მიზეზი, თუ რატომ არის დაწესებული შეზღუდვა პროდუქტის ამ კატეგორიაზე, არის ის რომ ჩინეთი აწარმოებს ნიორის მსოფლიო წარმოების 80 პროცენტს¹²

2) პროდუქტები, რომლებზეც ჯერაც ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ რომელთა იმპორტის გასახადის ad valorem (ღირებულების შესაბამისი) ადვალორული კომპონენტი გაუქმებულია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადის ოდენობა არ იქნება დამოკიდებული ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე, არამედ დადგინდება შეტანის ფასი. ქართველი ექსპორტიორებისთვის საინტერესო რამდენიმე აგროსასურსათო პროდუქტი ჩამოთვლილია ცხრილში ქვემოთ.¹³ არც ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტებისგან ამჟამად არ შედის ევროკავშირში (ყურძნის დურდოს გარდა), ამ კონკრეტული კატეგორიის პროდუქტის კატეგორიების წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში მნიშვნელოვანია და საერთო ექსპორტის 20%-ს შეადგენს.

12 პირადი კომუნიკაცია საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის სავაჭრო ატაშესთან - ანტონიო ლო პარკოსთან, 21 მარტი 2014 წ.
 13 ინფორმაცია მიღებულია ევროკომისიის ექსპორტის საკითხთა საინფორმაციო განყოფილებისგან.

კოდი	პროდუქტი	შეტანის ფასი მოცემულ მომენტში
07020000	პომიდორი, ახალი ან გაცივებული	იმპორტზე გადასახადის 8.8% მაგრამ არა ნაკლებ საშუალოდ 74 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
07070005	კიტრი, ახალი ან გაცივებული	იმპორტზე გადასახადის 12.8% მაგრამ არა ნაკლებ 67 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
08051020	ტკბილი ფორთოხალი, ახალი	იმპორტზე გადასახადის 16.00% მაგრამ არა ნაკლებ 35.4 ევრო 100 კგ-ზე (სეზონურობაზე დამოკიდებულებით)
0808108	ვაშლი, მსხალი, ახალი	იმპორტზე გადასახადის 4.00 % მაგრამ არა ნაკლებ 56.80 ევრო 100 კგ-ზე
22043092, 22043094, 22043096, 22043098	ყურძნის დურდო	იმპორტზე გადასახადის 22.4% მაგრამ არა ნაკლებ დაახლოებით 126.7 ევრო ლიტრზე (სისქეზე, ალკოჰოლის შემცველობაზე დამოკიდებულებით)

აღსანიშნავია, რომ ჩამონათვალში ასევე შესულია გარკვეული დასახელების პროდუქტები, რომლებზეც ამჟამად ვრცელდება GSP + 0 სატარიფო შეღავათები და შესაბამისად, მათ მიმართ ასევე ძალაშია შეტანის ფასი:

კოდი	პროდუქტი	ევროკავშირის გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთი (%) ¹
08061010	სუფრის ყურძენი	20
08092100	მჟავე ალუბალი, ახალი	12
08093010	ნექტარინი	17.6
08094005	ქლიავი	6.4
08091000	გარგარი, ახალი	20
2009	სხვადასხვა სახეობის ხილის წვენი	22.4


პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო (anti-circumvention) მექანიზმი:

პროდუქტი	სამიზნე მოცულობა (ტონა)	2012 წ. საქართველოს ექსპორტი ყველა ქვეყანაში (ტონა)	2012 წ. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (ტონა)	2013 წ. საქართველოს ექსპორტი ყველა ქვეყანაში (ტონა)	2013 წ. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (ტონა)
საქონლის, ღორის და ცხვრის ხორცი	4400	366	0	273	0
ფრინველის ხორცი	550	402	0	107.3	0
რძის პროდუქტები	1650	266	0	849	0
კვერცხი ნატუჭში	6600	3727 (კვერცხი)	0	1190 (კვერცხი)	0
კვერცხი და ალბუმინი	330	0.2	0	0	0
სოკო	220	6.3	0	6.6	0
ბურღულეული	200,000	198,149	6.8	198,138	8.7
ალაო და ხორბლის წებოვანა	330	420	0	210	0
სახამებელი	550	10	0	0	0
შაქარი	8000	2.6	0	9.1	1.8
ქათო, წვრილი გამონაცერი და სხვა ნარჩენები	2200	1247	0	1082	0
ტკბილი სიმინდი	1500	63	1.3	92.7	13.9
გადამუშავებული შაქარი	6000	1327	4	1457	137.2
გადამუშავებული ბურღულეული	3300	7.3; 3050 ჰლ	1546 ჰლ	8.7; 4068 ჰლ	1652 ჰლ
სიგარეტი	500	1975 კოლოფი	987 კოლოფი	50435 კოლოფი ²	1504 კოლოფი

ზემოთ მოყვანილი ცხრილი უჩვენებს, რომ ზედა ზღვარი წარმოებული პროდუქციის მოცულობისა, რომლის გადაჭარბების შემდეგ ქვეყანამ უნდა დაასაბუთოს აღნიშნული ჭარბი მოცულობის განმაპირობებელი წარმოების პროცესის ცვლილებები, საკმაოდ მაღალია. ყველა ქვეყანაში საქონლის ექსპორტის 2013 წელს გამოვლენილი ტენდენციების მიხედვით, ზოგი პროდუქტის რაოდენობა ახლოა სამიზნე მაჩვენებელთან - ეს შეეხება ბურღულეულს, ქათოს, წვრილ გამონაცერს და სხვა ნარჩენებს. თუმცა, შეთანხმების მიხედვით, ეს ზღვრები შესაძლოა შეიცვალოს, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა დაასაბუთებს, რომ მის საექსპორტო შესაძლებლობებსა და პროდუქციის წარმოების პროცესში მოხდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცვლილება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ტენდენციები

ევროკავშირი, დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის (დსთ) შემდგომ, საქართველოს მეორე უმსხვილეს პარტნიორს წარმოადგენს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში (გრაფიკი 1), სავაჭრო ტვირთბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან გაიზარდა; თანმიმდევრულად იზრდებოდა ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები, თუ არ ჩავთვლით უკუსვლას 2009 და 2010 წლებში. საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი ევროკავშირის პროდუქციაზე (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე - 5.57%, სამრეწველოზე - 0.45)¹⁴. 2013 წელს სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის შემცირდა იმპორტის შემცირებისა და ექსპორტის ზრდის შედეგად. 2012 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მთლიანი მოცულობიდან 20% ევროკავშირის ქვეყნებისკენაა მიმართული; ეს მაჩვენებელი 2013 წელს 23%-მდე გაიზარდა¹⁵. მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის 26%-ს შეადგენს, რაც ევროკავშირთან სავაჭრო ტვირთბრუნვის 30%-ია.



გრაფიკი 1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ტენდენციები (აშშ დოლარში). სტატისტიკის ეროვნული ბიურო. (www.geostat.ge).


¹⁴ CASE ქსელი. შრომები და ანალიზი. ევროკავშირი-უკრაინა: DCFTA: აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული სავაჭრო თანამშრომლობის მოდელი, 2012 წ. http://www.case-research.eu/sites/default/files/publications/CNSA_2012_445.pdf

¹⁵ ინფორმაცია მოწოდებულია სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ, წერილი დათარიღებულია 2014 წლის 7 მარტით.


რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, აქ ერთპიროვნული ლიდერია ახალი და ხმელი თხილი (გრაფიკი 2); ეს კატეგორია შეადგენს ევროკავშირში ექსპორტირებული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 64%-ს და თავად ამ კონკრეტულ კატეგორიაში მთლიანი საექსპორტო მოცულობის 65%-ს. 2013 წელს ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წამყვან კატეგორიებს შეადგენდა თხილი, ნატურალური ყურძნის წვენი და მინერალური წყლები (გრაფიკი 3). მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წამყვანი კატეგორიები ქვეყნების მიხედვით დიდად არ იცვლება, პროდუქტები ნაკლებად დივერსიფიცირებულია ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ევროკავშირის ქვეყნებისკენ მიმართული თითქმის ყველა საექსპორტო პროდუქტი სარგებლობს პრეფერენციების სისტემით GSP+. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო ინტენსიურად იყენებს GSP+ რეჟიმს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეჟიმით მოსარგებლე საექსპორტო საქონლის 60% 2013 წელს სწორედ სასოფლო-სამეურნეო საქონელს წარმოადგენდა, რაც 10%-ით გაზრდილი მაჩვენებელია 2012 წელთან შედარებით.

ექსპორტირებული პროდუქტი სახეობათა მიხედვით არცთუ იმდენად დივერსიფიცირებულია. 2012-2013 წლებში ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 50 დასახელების პროდუქტი გავიდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გაჩნდა ახალი პროდუქტები, როგორცაა გადამუშავებული და გაყინული ბოსტნეული, გაყინული თევზი, ზეთები, ბოსტნეულის წვენები და ექსტრაქტები. როგორც ჩანს, GSP+ რეჟიმით სარგებლობისა და იმპორტზე გადასახადის გაუქმების შედეგად გაიზარდა იმ პროდუქტების ექსპორტი, რომლებზეც ვრცელდება სავაჭრო რეჟიმი. ზოგადად, ჯერ კიდევ დასადგენია, თუ რეალურად რა დატვირთვა აქვს ტარიფს - ემპირიული ნაშრომების მნიშვნელოვანი რაოდენობა ასკვნის, რომ სატარიფო ბარიერები სავაჭრო ტვირთბრუნვის მხოლოდ ერთი პროცენტით ვარირებას განაპირობებს.¹⁶ რაც შეეხება სხვა ბარიერებს, განსაკუთრებით, ტექნიკურ ბარიერებს და არასატარიფო დაბრკოლებებს - მათ უფრო მეტი გავლენა აქვთ ვაჭრობის მოცულობაზე.

¹⁶ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. რამდენად მნიშვნელოვანია ტარიფები? 2013 წ. <http://www.ebrd.com/downloads/research/economics/workingpapers/wp0154.pdf>



გრაფიკი 2 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში (მონეტარული მაჩვენებლები). 2013 წ. საქსტატი.



გრაფიკი 3 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი სულ (მონეტარული მაჩვენებლები), 2013 წ. საქსტატი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ტენდენციებისა და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია უკანასკნელ წლებში ექსპორტისა და იმპორტის დინამიკის შეფასება. საერთაშორისო ვაჭრობაში ზრდად ჩართულობასთან ერთად იზრდება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მაჩვენებლები - თუმცა ამ უკანასკნელის ზრდის მაჩვენებლები უფრო მაღალია. 2012 წელს საქართველოში იმპორტირებული კვების პროდუქტების ღირებულებამ გადააჭარბა 1,2 მილიარდ აშშ დოლარს მაშინ, როდესაც საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება გასცდა 500 მილიონ აშშ დოლარს.

2009 წლიდან 2012 წლამდე იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის 10 წამყვანი ჯგუფის დინამიკის ანალიზი გვაძლევს ძალიან კარგ სურათს არსებული მდგომარეობის შესაფასებლად და საკმაოდ კარგად აღწერს საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხარისხს.

ცხრილი 1. ძირითადი საიმპორტო პროდუქციის დინამიკა

პროდუქციის იმპორტი, მილიონი აშშ დოლარი	2009	2010	2011	2012	საშუალო
ხორბალი და მესლინი	105,506	174,156	184,232	239,953	175,962
სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, სიგარილები და სიგარეტები	57,425	78,990	86,743	90,565	78,431
შაქარი	50,408	74,233	89,738	84,682	74,765
ხორცი და კვების სუბპროდუქტები ფრინველის, ახალი, გაცივებული ან გაყინული	37,230	47,954	66,104	69,844	55,283
მზესუმზირის ზეთი, ველური ზაფრანის ან ბამბის ზეთი და მათ ფრაქციები	28,789	46,878	64,659	56,228	49,139
შოკოლადი და კაკაოს შემცველი სხვა კვების სუბპროდუქტები	42,863	46,616	50,523	53,074	48,269
გაყინული თევზი	22,505	26,881	30,894	33,638	28,479
არადენატურირებული ეთილის სპირტი, სპირტიანი ნაყენები, ლიქიორები და სხვა სპირტიანი სასმელები სპირტის 80 მოც.%-ზე ნაკლები კონცენტრაციით	26,662	27,435	32,867	32,847	29,953
პური, ცომეული, ნამცხვრები და ანალოგიური	19,221	22,352	29,226	30,061	25,215
ღორის ხორცი ახალი, გაცივებული ან გაყინული	12,668	13,454	18,858	28,813	18,448
მარგარინი	15,814	20,846	27,283	28,525	23,117

წყარო: საქსტატი

საქართველო ე.წ. ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა, რაც გულისხმობს, რომ კვების პროდუქტებზე მოთხოვნის მეტი წილის (დაახლოებით 80%-ის) უზრუნველყოფა იმპორტის ხარჯზე ხდება.¹⁷ იმპორტირებული

¹⁷ გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია. აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის აგროსამრეწველო განვითარება, ქვეყნის პროფილი - საქართველო. 2012 წ. http://www.fao.org/fileadmin/user_upload/Europe/documents/Publications/AI_briefs/AI_briefs2012/fao_georgia.pdf

საქონლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო დამოკიდებულია იმპორტზე შემდეგ პროდუქტების შემთხვევაში: ხორბალი, თამბაქოს პროდუქტები, ხორცის პროდუქტები და მცენარეული ზეთები, ასევე, მარცვლეულის გადამამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები. ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების მოყვანას ესაჭიროება დიდძალი მიწის რესურსები და მექანიზაციის მაღალი დონე, რაც არ წარმოადგენს საქართველოს კონკურენტულ უპირატესობას. ექსპორტირებული საქონლის 10 წამყვანი ჯგუფის დინამიკის ანალიზი (2009-2012 წწ.) იმედისმომცემია, მაგრამ აქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მიუხედავად იმისა, რომ თხილი წარმოადგენს საქართველოდან ბოლო წლებში განხორციელებული ექსპორტის წამყვან პროდუქტს, მისი მდგრადი წარმატება დიდწილად იქნება დამოკიდებული ფასების დინამიკაზე მიწასა და მუშახელზე ახლო პროვინიზირებად მომავალში. პროდუქტის წამყვანი 5 კატეგორიის დანარჩენ ქვეყნებში (ევროკავშირის გარდა) ექსპორტის მოცულობებში მოხდა მკვეთრი ცვლილება. საქართველოსთვის რუსული ბაზრის გახსნის შედეგად ნატურალური ყურძნისგან მიღებული ღვინის ექსპორტი 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 50%-ით, ხოლო მინერალური წყლების ექსპორტი 55%-ით. ამდენად, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა და ახალმა შესაძლებლობებმა ქართველი მწარმოებლებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტის სურათი შეცვალა.

ცხრილი 2. ძირითადი საექსპორტო პროდუქტის დინამიკა


პროდუქტის ექსპორტი, მილიონი აშშ დოლარი	2009	2010	2011	2012	2013	საშუალო
სხვა თხილი (კაკალი), ახალი ან გამხმარი	69,956	75,134	130,086	83,659	166,712	105,109
არადენატურირებული ეთილის სპირტი, სპირტიანი ნაყენები, ლიქიორები და სხვა სპირტიანი სასმელები სპირტის 80 მოც.%-ზე ნაკლები კონცენტრაციით	54,019	55,705	67,852	80,027	99,925	71,506
ნატურალური ყურძნის ღვინოები	31,997	41,138	54,103	64,871	127,850	63,992
წყლები, ბუნებრივი ან მინერალური	24,675	36,917	47,607	59,341	106,883	55,085
ხორბალი და მესლინი	3,248	7,242	6,169	52,062	47,743	23,293
მსხვილფეხა საქონლის ხორცი	16,903	19,310	28,213	39,267	47,630	30,265
წყლები, მინერალური და გაზირებული, დამატებითი შაქრის შემცველობით	10,684	14,666	15,051	20,888	17,441	15,746
ხორცი ცხვრის და თხის	17,054	13,427	14,944	18,162	15,547	15,827
ხილის და ბოსტნეულის წვევნები	2,883	6,201	6,312	12,537	7,358	7,058
სიმინდი	1,097	2,650	995	7,678	12,581	5,000
ციტრუსები ახალი ან ხმელი	15,703	12,143	5,263	7,670	20,187	12,193

წყარო: საქსტატი

ამავდროულად, ზემოთ ჩამოთვლილი მსხვილი საექსპორტო პროდუქტის დინამიკა უჩვენებს, რომ უმრავლესობას ამ პროდუქტებისა აქვს მაღალი ღირებულების შექმნის პოტენციალი, რასაც მუშახელის შედარებით დიდი ოდენობა ესაჭიროება - და ამ მხრივ საქართველოს უდავოდ აქვს კონკურენტული უპირატესობა. წამყვანი საექსპორტო და საიმპორტო პროდუქტის დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ

სახელმწიფო პოლიტიკის აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სფეროების მხარდაჭერაზე, რომლებშიც საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით აქვს კონკურენტული უპირატესობა. მაგალითად, ხილის და ყურძნის წარმოების გაზრდა იმ დონემდე, რაც შესაძლებელს გახდის ამ კატეგორიის პროდუქციის ან მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ექსპორტს. მრავალწლიან მცენარეთა რაოდენობა ქვეყანაში დაბალია, მაგრამ სწორედ ამ სფეროში აქვს საქართველოს კონკურენტული უპირატესობა და საექსპორტო შემოსავლების გენერირების დიდი პოტენციალი. ვაშლის, ატმის და თხილის წარმოებას (რომლებიც საქართველოს წამყვან საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენს), აქვს შემოსავლების გენერირების მნიშვნელოვანი პოტენციალი. მანდარინი ციტრუსების მოსავლის 80%-ზე მეტს შეადგენს. ციტრუსები საქართველოში მრავალი წელია საექსპორტო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისა და ბაღების მოვლის სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ეს სფერო შეიძლება მნიშვნელოვნად განვითარდეს. ამჟამინდელი ტექნოლოგიური ინტენსიფიკაციისა და მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებლების (შვიდიდან ათ ტონამდე) მიუხედავად, ციტრუსების და განსაკუთრებით, მანდარინის მოყვანა კვლავ პერსპექტიულ სფეროდ რჩება, რაც დაადასტურა ბოლო წლებში მანდარინის ექსპორტის საკმაოდ ინტენსიურმა დინამიკამ.¹⁸

ყურძნის მოყვანა ერთ-ერთი ტრადიციული და ამავედროულად, პერსპექტიული სფეროა. ამ სფეროს განვითარებისთვის ვფიქრობთ, რომ გარდა ექსპორტზე ორიენტირებისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია აქცენტირება ადგილობრივ მოთხოვნაზე, რომელიც აღინიშნება საკმაოდ რეზერვებით (გრაფიკი. 4) ღვინის კომერციული მიზნით საწარმოებლად. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა საკმაოდ მცირეა თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში ყურძნის წარმოებას.



გრაფიკი 4 ექსპორტის პროცენტული წილი წარმოებასა და მარაგებთან შეფარდებით წლების მიხედვით

CGE ეკონომიკური მოდელის გამოყენებისა და სიმულაციის ჩატარების საფუძველზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ ნავარაუდევია საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლების ზრდა 12%-ით, ხოლო იმპორტისა - 7.5%-

¹⁸ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და დღევანდელი პოლიტიკა. 2013 წ. http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Agro_Eng_WEB.pdf

ით. თუმცა, გათვლებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტები სექტორულ ლიდერს აღარ წარმოადგენს, ვინაიდან 60%-ზე მეტი მაჩვენებლით გაიზრდება შხამ-ქიმიკატების, რეზინისა და პლასტიკური მასალების წარმოების და ექსპორტის პოტენციალი.¹⁹

ექსპორტის პოტენციალის გაზრდა სოფლის მეურნეობაში შეზღუდულია ფერმერული მეურნეობებისა და მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის გამო. ევროკავშირის სტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილება ინდივიდუალური ფერმერებისთვის გართულდება კოოპერატივებთან შედარებით, ისევე როგორც გაძნელებულია მათთვის რისკების აღება ახალ ბაზრებზე შესვლისა და თავიანთი პროდუქტის გატანის თვალსაზრისით, ევროკავშირის მაღალკონკურენტული ბაზრების გათვალისწინებით²⁰. ამჟამად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში დომინირებს პირველადი წარმოების პროდუქცია, ფერმერული მეურნეობები პროდუქციას ძირითადად თავიანთი მოხმარებისთვის ან ქაოსური გზით სავაჭროდ აწარმოებენ. ამდენად, კომპლექსური ღირებულებითი ჯაჭვის შექმნის გარეშე DCFTA-ს პოტენციური სარგებლის სრულად გამოყენება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე გათვლით, გაჭირდება.

ყველაზე მეტად შესამჩნევი ზრდა ნავარაუდევია მსხვილფეხა პირუტყვის გამრავლებისა და და ხორცის პროდუქტების წარმოების (60%-ზე მეტი) და ბოსტნეულის, ხილის, თხილისა და და ზეთოვანი მარცვლეულის მოყვანის თვალსაზრისით (20%-ზე მეტი)²¹. მესაქონლეობის არსებული სტრუქტურა წარმოდგენილია დიდი რაოდენობით ინდივიდუალური ფერმერით, რომლებიც ძირითადად, პროდუქტს თავიანთი მოხმარებისთვის აწარმოებენ; ასევე შედარებით მცირე რაოდენობით კომერციალიზებული საოჯახო მეურნეობებით და მსხვილი საწარმოთი. სექტორის განვითარების სტიმულირებისთვის, დასაწყისისთვის, უნდა შეიქმნას ისეთი ძირითადი ინსტიტუტები, როგორცაა საქონლის რეესტრი და ვეტერინარული სამსახურის განყოფილება. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებაზე, პირუტყვის გამრავლებაზე, კვებაზე და ზოგადად, პირუტყვის ჯანმრთელობის დაცვაზე. რაც შეეხება სხვა სექტორებში წარმოების მაჩვენებლების გაზრდის მიზნით მიღებულ სახელმწიფო ზომებს, სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფა და მინიმალური ჩარევა, რაც უნდა გამოიხატოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და ცოდნისა და know-how-ს გავრცელებაში.


ქართული საექსპორტო პროდუქციის წამყვან 10 დანიშნულების ქვეყანას შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნებია: გერმანია, საფრანგეთი და იტალია (გრაფიკი ნ). ამ ქვეყნებში ძირითადი საექსპორტო პროდუქტი თხილია, თუმცა საფრანგეთის შემთხვევაში ჭარბობს სპირტიანი სასმელები (არადენატური-ბული ეთილის სპირტი, სპირტის 80 მოც.%-ზე ნაკლები კონცენტრაციით). რაც შეეხება ნატურალური ყურძნის ღვინოებს, აქ უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენს რუსეთი და უკრაინა (შესაბამისად, 44% და 23% პროცენტი). წამყვან ათეულში ევროკავშირის სხვა ქვეყნებია: პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. პარტნიორ ქვეყნებში იმპორტი უფრო დივერსიფიცირებულია ექსპორტთან შედარებით.

19 Ecorys. ვაჭრობის მდგრადობის ზეგავლენის შეფასება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებათა წარმართვის მხარდაჭერის მიზნით ევროკავშირის, საქართველოსა და მოლდოვას შორის, 2012 წ. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2012/november/tradoc_150105.pdf. Prospects of DCFTA between Georgia and the EU. www.easternpartnership.org

20 პირადი კომუნიკაცია საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის სავაჭრო ატაშესთან ანტონიო ლო პარკოსთან, 21 მარტი 2014 წ.

21 Ecorys. ვაჭრობის მდგრადობის ზეგავლენის შეფასება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებათა წარმართვის მხარდაჭერის მიზნით ევროკავშირის, საქართველოსა და მოლდოვას შორის, 2012 წ. www.easternpartnership.org
http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2012/november/tradoc_150105.pdf

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო ქვეყნები



გრაფიკი 6 საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანიშნულების ქვეყნები (ათასი აშშ დოლარი), 2013 წ. წყარო: საქსტატი

დასკვნები და რეკომენდაციები

სავაჭრო ბალანსი სასოფლო-სამეურნეო და მომიჯნავე პროდუქტებით ვაჭრობასა და ტვირთბრუნვის მაჩვენებლების მიხედვით ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიდი პროცენტულობით უარყოფითია. ევროკავშირი ბოლო დრომდე განსაკუთრებით მკაცრად იცავდა საკუთარი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო წარმოების დარგებს, აწესებდა რა ტარიფებს და არასატარიფო ბარიერებს ვაჭრობაზე. DCFTA-ს ძალაში შესვლის შედეგად არაერთი ტარიფი გაუქმდება, თუმცა მათი შეკვეცა პროდუქტების გატეგორიების მიხედვით, სხვადასხვა განაკვეთით მოხდება. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე - ნიორზე გავრცელდება სატარიფო განაკვეთის კვოტა, ხოლო დანარჩენ პროდუქტებზე შენარჩუნდება ბაზარზე შეტანის (საწყისი) ფასები. და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციფრობრივად ნაკლებად ზუსტად გამოხატულ - ვაჭრობის ტექნიკურ ბარიერებთან გამკლავება რჩება უფრო მნიშვნელოვან გამოწვევად.

DCFTA სარგებლის მომტანი იქნება საქართველოსთვის იმ მოქალაქეთა კეთილდღეობის ამღლეების თვალსაზრისით, რომელთაც ექნებათ უვდომა უკეთესი ხარისხის პროდუქციასთან შიდა ბაზარზე და უფრო შორეული პერსპექტივით, გაეზრდებათ შემოსავლები ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად სტიმულირებული ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის გამო. შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების გამოყენების წარსული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ვაჭრობა ცალსახად იხრება იმ პროდუქტებისკენ, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული შეღავათები.

შესაძლო მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა აღნიშვნაც უპრიანია, იქნება ასევე გაზრდილი იმპორტი ევროკავშირიდან და დამატებითი წნეხი ადგილობრივ მწარმოებლებზე, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, რასაც დაემატება გაზრდილი ღირებულება პროდუქტებზე ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მკაცრი მოთხოვნის გამო. DCFTA შეთანხმების ამოქმედებით გამოწვეული შესაძლო გვერდითი ეფექტებისა და გამოწვევების შერბილების მიზნით ჩვენ შევიძუშავეთ რეკომენდაციები, მიმართული სამი ძირითად აქტორისკენ: საქართველოს მთავრობა, ევროკავშირი, საქართველოს პარლამენტი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

საქართველოს მთავრობა და ევროკავშირი - ანალიტიკური არასამთავრობო ორგანიზაციების გამოყენებით ექსპერტიზისა და დამატებითი ადამიანური რესურსების კუთხით და საჯარო დიალოგების წარმართვის სტიმულირებისთვის აღნიშნულ პროცესში

- აუცილებელია საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის, მისი საექსპორტო პოტენციალის შეფასებით და იმ სექტორების განსაზღვრით, რომლებშიც საქართველო, შესაძლოა, კონკურენტულ უპირატესობას ფლობდეს. ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის შეფასება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მხრივ და უფრო მეტად პერსპექტიულ სფეროებზე აქცენტირება პირველ ხანებში, რაც მომდევნო პერიოდში დაგროვილი სარგებლის სხვა სფეროებზე გადანაწილებას გულისხმობს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ევროკავშირის მიერ მოწოდებული ტექნიკური და ფინანსური დახმარების სწორ მიმართვაზე, ხელშესახები შედეგების მიღების მიზნით.
- ევროკავშირის ქვეყნიბიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ნავარაუდები ზრდის შედეგად ადგილობრივ მწარმოებლებზე გამოწვეული წნეხის შერბილების მიზნით მთავრობამ

უნდა შეიმუშავოს მიზნობრივი სექტორალური პროგრამები და ინიციატივები კონკურენტულ დარგებში ექსპორტის პოტენციალის ზრდის მიზნით. ეს ინიციატივები, უპირველესად, მიმართულ უნდა იქნას ადგილობრივი მწარმოებლების დახმარებისკენ, რათა მათ წარმატებით შეძლონ ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტიზაციის პროცედურების დაკმაყოფილება.

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება არასატარიფო ღონისძიებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. ამ მხრივ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს დახმარებას სერტიფიცირების პროცედურებში, კონსულტაციების ჩატარებას, ფერმერების სახლებისა და ტრენინგცენტრების როლის ზრდას.
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საკვანძო მნიშვნელობის მქონეა მწარმოებლებისთვის, ტრენინგისა და განათლების პარალელურად. ასიმეტრიული ინფორმაციის დაძლევის ერთ-ერთი წარმატებული გზა შეიძლება იყოს სახელმძღვანელოს შექმნა მწარმოებლებისთვის, სადაც მოცემული იქნება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. სახელმძღვანელო უნდა იყოს ძალზე კონკრეტული და შეიცავდეს ინფორმაციას სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებპორტალი თავდაპირველად სწორედ ამ მიზნით შეიქმნა, მაგრამ ამჟამად იგი ძალზე ფართოა და არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას სექტორალურ პროდუქტზე, პროდუქტის კოდის მიხედვით. საინფორმაციო კამპანია დაეხმარება აგრობიზნესში ჩართულ ადამიანებს, უკეთ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და ასევე, უკეთ გაიაზრონ გამოწვევები. ევროკავშირის როლი აღნიშნულ პროცესში გულისხმობს ასოცირების შეთანხმების კონკრეტული მუხლების გარკვევით ახსნა-განმარტებას, რომლებიც ერთი წაკითხვით რთულია აღსაქმელად და რამდენადმე ურთიერთგამომრიცხავიც კია. ინფორმაცია საზოგადოებას უნდა გადაეცეს სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მეშვეობით, რომლებიც, თავის მხრივ, მას ბიზნესორგანიზაციებს და ფართო საზოგადოებას მიაწვდიან.

საქართველოს პარლამენტი

- როგორც ზემოთ აღვნიშნა, თავისუფალი ვაჭრობის სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DCFTA ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს რიგი შესწორებების შეტანით ქართულ კანონებში მომდევნო 10 წლის განმავლობაში. ამ პროცესში პარლამენტის როლი არსებითია, ვინაიდან მან უნდა გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და გარდამავალი პროცესი ნაკლებად მტკივნეული გახადოს ადგილობრივი ბიზნესმწარმოებლებისთვის. ჰარმონიზაციის პროცესი არ გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობის უცვლელად გადმოტანას, არამედ იგი იძლევა სივრცეს ამ უკანასკნელის მოსარგებად ადგილობრივ რეალობასთან. აღნიშნულ კონტექსტში, საქართველოს მთავრობასთან ერთად, პარლამენტმა მხარი უნდა დაუჭიროს ძირითად საკანონმდებლო შესწორებათა ex ante ზეგავლენის შეფასების განხორციელების იდეას, შესაძლო ალტერნატივათა გამოვლენის და მათგან ოპტიმალურის შერჩევის მიზნით, რომელიც დაინტერესებულ პირებს მოუტანს ნაკლებ დანახარჯებს, ხოლო ქვეყნის ზოგად კეთილდღეობას – მეტ სარგებელს;

- ასოცირების შეთანხმების მიხედვით, უნდა ჩამოყალიბდეს ასოცირების საბჭო, ევროკავშირისა და საქართველოს წარმომადგენლობით, მინისტრების დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური დიალოგის წარმართვას მხარეთა შორის და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას. ამ კონტექსტში საქართველოს პარლამენტის როლი უნდა იყოს რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს მხარის წარმომადგენლებისთვის აღნიშნულ საბჭოში, შესაბამისი პოლიტიკაში აუცილებელი ცვლილებების გატარების მხარდასაჭერად; შესაბამისმა საპარლამენტო კომიტეტებმა აქტიურად უნდა აწარმოონ კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან და ასახონ მათი პოზიციები პოლიტიკური ინიციატივების ადვოკატირებისას.

ზოგადად, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ნაწილი, წარმოადგენს ევროპაში ინტეგრაციის კენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. ეს პროცესი უკვე წარმატებულად განხორციელდა რამდენიმე ქვეყანაში. შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნის, ინვესტორთათვის ქვეყნის მიმზიდველობის ზრდის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში) და მათ შორის გამრავილი საექსპორტო სავაჭრო მარჯვენებლების თვალსაზრისით.



ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. 85/24. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.
ტელ/ფაქსი: +995 32 2 207 305
e-mail: info@eprc.ge
www.eprc.ge